



შესაგებელი აღმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შეჯამების აქტი

საქმე №3/696-14

ასოხიაცია „მწკანე
ალტერნატივა“
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

მირანდა ერემაძე
მოსამართლის სახელი და გვარი

მოკასუხმ: შენიშვნა-1

ქ. თბილისის მერია
სახელი, გვარი (სახელწოდება)

ქ.თბილისი, ფ. შარტავას ქ. №7
პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-2

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

მოკასუხის წარმომადგენელი: შენიშვნა-3

თამარ ქენქაძე
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი
ქ. თბილისი, ფ. შარტავას ქ. №7
სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

ალტერნატიული მისამართი

37 85 43

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-4

სახელი, გვარი სახლის ტელ. მობილური ელექტრონული ფოსტა

გაუგებელი ხარის თქვენი შესაგებელი სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გავრძელება დაუშვებელია, ვარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი შერიშენა-ბ

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შერიშენა-7

ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ

არა

ნაწილობრივ

შერიშენა-8

**მოკასუსის კოეციია მოსარჩელის მიერ მითითებულ
დავის ფაქტობრივ ბარემომეგზე**

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

დავის დამატებითი ფაქტობრივი ბარემომეგები

შენიშვნა-12 შენიშვნა-13 შენიშვნა-14

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ რის საფუძველზე?

არა

შენიშვნა-15

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ რის საფუძველზე?

არა

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ რომელი საფუძველით?

არა

შენიშვნა-17

ზომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ რომელი საფუძველით?

არა

შენიშვნა-18

მოქალაქის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძველზე

შენიშვნა-19 შენიშვნა-20 შენიშვნა-21

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

მოსარჩელის მოთხოვნა ქ. თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის №1592 განკარგულების და ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 24 თებერვლის №363 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე, სამართლებრივად უსაფუძველოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს:

წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქ. თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის №1592 განკარგულებით ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი №68-ში (საკადასტრო კოდი: 01.14.10.002.006) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა კ₁ = 0.5.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 განსაზღვრავს, კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მაქსიმუმ რა ნაწილზეა დასაშვები შენობა-ნაგებობების განთავსება.“

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი პირდაპირ ადგენს კონკრეტული მიწის ნაკვეთებისათვის განაშენიანებისა (კ-1) და განაშენიანების ინტენსიურობის (კ-2) კოეფიციენტების მაჩვენებლების გარდასარდის შესაძლებლობას სპეციალური ზონალური შეთანხმებით, აგრეთვე გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მერი, დასაზღვრებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე. სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილება მიიღება მშენებლობის ნებართვის ნებისმიერ სტადიაზე.

„ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2008 წლის 15 ოქტომბრის №54 ბრძანების თანახმად, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისია წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერის სათათბირო-საკოორდინაციო ორგანოს, რომლის

ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს საპეციალური ზონალური შეთანხმებისათვის ქალაქ თბილისის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება.

ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, №არ1146224 განცხადებით მოთხოვნილი საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 17 ივლისის №28 სხდომაზე. კომისიის დასკვნის საფუძველზე საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება, თანხმობა მიეცა ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი №68-ში (საკადასტრო კოდი: 01.14.10.002.006) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით საპეციალური (ზონალური) ნებართვის გაცემასა და ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე და არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვრა - $\kappa_1 = 0.5$. აღნიშნული ოქმის შესაბამისად კი, გამოცემულ იქნა ქ. თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის №1592 განკარგულება ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი №68-ში (საკადასტრო კოდი: 01.14.10.002.006) არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით საპეციალური (ზონალური) ნებართვის გაცემისა და ქალაქმშენებლობითი პირობების გაცემასა და ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის №1592 განკარგულება გამოცემულია საკითხის სრულყოფილად შესწავლის შედეგად, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კი მოსარჩელე მხარის მიერ არ არის დადასტურებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა.

რაც შეეხება ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 24 თებერვლის №363 განკარგულებას, აღნიშნული განკარგულებით ძალაში დარჩა ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანება.

საქმის მასალებით დგინდება, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი №68-ში (საკადასტრო კოდი: 01.14.10.002.006) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასტუმროს არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2013 წლის 10 დეკემბრის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „ტიფლის კოსტავა“-ს ინდივიდუალურ საკუთრებას. საკუთრების უფლება განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას, რომელიც გარანტირებულია კონსტიტუციის 21-ე მუხლით, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, საკუთრების უფლება აღიარებული და ხელშეუვალია; დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი იმპერატიულად განსაზღვრავს იმ კუმულატიურ პირობებს რა შემთხვევაშიც შესაძლებელია საკუთრების უფლების შეზღუდვა, კერძოდ, საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ამასთან, სახეზე უნდა იყოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება და არ უნდა დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ ვგაქვს საკუთრების უფლების შეზღუდვის ოთხივე ელემენტი, შესაბამისად, შპს „ტიფლის კოსტავა“-ს როგორც მესაკუთრეს, უფლება აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის ქონებას.

ქ. თბილისის მერია ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სამშენებლო მიწის ნაკვეთს არ გააჩნია დამოუკიდებელი საავტომობილო გზა, ვინაიდან, საქმეში წარმოდგენილია ამონარიდი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქართველოს საკადასტრო რუკიდან, რომლის მიხედვითაც, უდავოდ დგინდება, რომ სამშენებლო მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.14.10.002.006) გააჩნია დამოუკიდებელი საავტომობილო მისასვლელი გზა.

რაც შეეხება მოსარჩელის მითითებას საქართველოს პარლამენტის 1998 წლის 17 ივლისის №1538-რს დადგენილების პირველ მუხლზე, რომლის თანახმადაც, „სასწრაფოდ აღიკვეთოს საქართველოს დასახლებულ პუნქტებში გამწვანების ზონებში (მწვანე მასივები), პარკების (მათ შორის, კულტურის ძეგლთა კატეგორია), ბაღებისა და სკვერების ხელყოფა მათი საზღვრების ფარგლებში და მიმდებარე ტერიტორიაზე“, ქ. თბილისის მერია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ხდება არა ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიის გამწვანების ზონის ხელყოფა, არამედ ცალკე საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით განვითარება და სარეკრეაციო ფუნქციის გაუმჯობესება.

დაუსაბუთებელია მოსარჩელის არგუმენტი სადავო აქტით საჯარო ინტერესების ხელყოფასთან დაკავშირებით, ვინაიდან საქმის მასალებში წარმოდგენილია ქ. თბილისის მერიის თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2000 წლის 29 ნოემბრის ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, საბაღ-საპარკო ხელოვნებისა და ლანდშაფტური არქიტექტურის ძეგლის „ვაკის პარკის“ ტერიტორიის საზღვრების გეგმა, რომელიც არ მოიცავს შპს „ტიფლის კოსტავა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.14.10.002.006). გარდა ამისა, ქ. თბილისის მერია განმარტავს, რომ სარეკრეაციო ტერიტორია არ წარმოადგენს მხოლოდ დაუსახლებელ და გამწვანებულ ტერიტორიას, არამედ, შესაძლებელია იყოს ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით განვითარებული ადგილი, რომელიც განკუთვნილია ადამიანთა დასვენებისთვის. ამასთან, ისეთი მაღალი კლასის სასტუმროს მშენებლობა, როგორც გათვალისწინებულია სადავო ბრძანებით შეთანხმებული პროექტით, ხელს შეუწყობს როგორც სამშენებლო მიწის ნაკვეთის გაუნაშენიანებელი ნაწილის კეთილმოწყობას, მათ შორის მწვანე ნარგავებით, ისე მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებას, ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებას. შესაბამისად, გაუკვეველია, თუ რა სახით ირღვევა საჯარო ინტერესები ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანებით და რა სახის ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს სადავო აქტით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი და მშენებლობის ნებართვა. მით უფრო, რომ მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი №68-ში (საკადასტრო კოდი: 01.14.10.002.006) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასტუმროს მშენებლობა უარყოფით ეკოლოგიურ გავლენას მოახდენს გარემოზე და გამოიწვევს საზოგადოებრივი ინტერესების არსებით შელახვას. გარდა ამისა, უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე იყო არსებული შენობის ნანგრევები, ხოლო სადავო აქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად, ჩანაცვლდება მაღალი კლასის სასტუმროთი და კეთილმოწყობილი დასვენების არეალით, რაც ხელს შეუწყობს სარეკრეაციო ტერიტორიის შენარჩუნებას და განვითარებას, მოქალაქეთა ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფას.

რაც შეეხება, მოსარჩელის მითითებას საპროექტო შენობის გარკვეული არქიტექტურული ნაწილების საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრასთან და პანდუსების არარსებობასთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მერია განმარტავს, რომ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ საპროექტო შენობის საანგარიშო ზედაპირი უდავოდ მდებარეობს სამშენებლო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში. გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არ აქვს იურიდიული ინტერესი, აღნიშნული გარემოება არ ყოფილა გამოკვლეული ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში. ააიპ „მწვანე ალტერნატივა“-ს ძირითად საქმიანობას მისივე წესდების თანახმად, წარმოადგენს გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელება და გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინტეგრაცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროში. შესაბამისად, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ დაინტერესებულ პირად შეიძლება იქნას მიჩნეული მხოლოდ გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში.

ქ. თბილისის მერია ასევე ვერ დაეთანხმება მოსარჩელის პოზიციას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების დარღვევასთან დაკავშირებით, ვინაიდან, დისკრეციული უფლებამოსილება თავისი არსით გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას კანონით განსაზღვრული რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტიდან აირჩიოს ერთ-ერთი. მოცემულ შემთხვევაში კი, მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს არ გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, არამედ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემთხვევაში, იგი ვალდებულია დააკმაყოფილოს დამკვეთის მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება განმცხადებლის უფლებების არამართლზომიერ შეზღუდვას.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 60 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი ბათილია თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.“ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.“ აღსანიშნავია, რომ მოსარჩელების მიერ ვერ იქნა დადასტურებული ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 24 ივლისის №1592 განკარგულების და ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 24 თებერვლის №363 განკარგულებების წინააღმდეგობა კანონმდებლობასთან, ასევე მათი მომზადებისა და გამოცემის წესების

ისეთი არსებითი მოთხოვნების დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ქ. თბილისის მერია განმარტავს, რომ სადავო აქტები წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია განსაკუთრებული დაცვის გარანტიები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60 პრიმა მუხლის მეოთხე ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ დაუშვებელია უკანონო აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილობაც კი, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს დასაბუთებული პირდაპირი და უშუალო ზიანი. მოსარჩელის მხრიდან დღემდე არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება თუ რა პირდაპირი და უშუალო ზიანი ადგება მას სადავოდ გამხდარი ქ. თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის №1592 განკარგულების და ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 24 თებერვლის №363 განკარგულების გამოცემით. მხოლოდ მითითება იმ შესაძლო სამომავლო ზიანზე რაზეც წარმოდგენილ სარჩელშია საუბარი, ვფიქრობთ, ვერ გახდება აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. მოსარჩელის მხრიდან არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ზემოთ მითითებული გარემოებებიდან, თუნდაც ერთ-ერთის არსებობას, შესაბამისად, მხოლოდ ზეპირისიტყვიერება, არ შეიძლება საფუძველად დაედოს აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტების კანონიერების შესწავლის მოთხოვნასა და ბათილად ცნობას.

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 102-ე მუხლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზეც ამყარებს თავის მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა გასაჩივრებული აქტებით საჯარო კანონიერი ინტერესისა თუ უფლების შეზღუდვის ფაქტს, რა შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნებოდა სასამართლოს მიერ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობაზე მსჯელობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მერია განმარტავს, რომ ერთის მხრივ, გასაჩივრებული აქტები წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლებიც მიღებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და რომელთა მიმართაც დაინტერესებულ პირს აქვს კანონიერი ნდობა, ხოლო მეორეს მხრივ, არანაირი მტკიცებულებით არ დადასტურდა, რომ მოსარჩელის - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს კანონიერ უფლებას ან ინტერესს სადავო აქტებით ადგება რაიმე პირდაპირი და უშუალო ზიანი. შესაბამისად, ქ. თბილისის მერიას მიაჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-22

მოწმე

ფაქტობრივი გარემოება(ები)

ექსპერტი

ფაქტობრივი გარემოება(ები)

სპეციალისტი

ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-23

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

შენიშვნა-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

სსპა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ რის საფუძველზე?

არა

შენიშვნა-28

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ მორიგების პირობები;
არა რადგან

შენიშვნა-29

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-30. შენიშვნა-31

- დანართი 1: მინდობილობა - 1 (ერთი) ფურცელი
დანართი 2: საქმის წარმოების მასალები - 171 ფურცელი
ფურცლების საერთო რაოდენობა: 182 (ას ოთხმოცდაორი) ფურცელი

თანხმა ხართ თუ ა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა რადგან

შენიშვნა-32

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

0 სხდომაში რადგან

შენიშვნა-33

თანხმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანხმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა რადგან

შენიშვნა-35

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე - თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მიუთითებ სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელი - თამარ ქენქაძე

03/04/2014 წ.

ხელმოწერა

ხელმოწერის სახელი, გვარი

შეცვლის თარიღი

შეცვლებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.



**ქალაქ თბილისის მერიის
იურიდიული
საქალაქო სამსახური**



№ 06-17/14006388

" 06 " 01 2014 წ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ენიჭება უფლებამოსილება ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების მთავარ სპეციალისტს თამარ ქენქაძეს, რათა მონაწილეობა მიიღოს ქ. თბილისის მერიის ინტერესების დასაცავად ყველა ინსტანციის სასამართლოში ნებისმიერ ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეზე.

შეუძლია, შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, მათ შორის უფლება აქვს, ქ. თბილისის მერიის სახელით წარადგინოს სარჩელი, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები და განჩინებები, ასევე, უფლება აქვს გამოითხოვოს და ჩაიბაროს სააღსრულებლო ფურცელი.

მინდობილობა ძალაშია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

სამსახურის უფროსის

მალხაზ კუნელაური